განკარგულება:**გ-49. 492602811**
თარიღი:**28/01/2026**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ მოძრავი ქონების - 45 (ორმოცდახუთი) ცალი ხის ძელსკამის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 9 იანვრის №48-48260093 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, შპს ,,ლიკო-1’’-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას შორის, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2025 წელს გაფორმებული N38 ხელშეკრულების შესაბამისად, შპს ,,ლიკო-1’’-ის მიერ მოწოდებული იქნა 45 (ორმოცდახუთი) ცალი ხის ძელსკამი (წარწერით ,,წყალტუბო“). ამასთან დაკავშირებით მერი ითხოვს თანხმობას მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მითითებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრს“ საკუთრებაში გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება - 45 (ორმოცდახუთი) ცალი ხის ძელსკამი (წარწერით ,,წყალტუბო“).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი